

მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

**შპს „მირაბილიტი მაინინგი“ მირაბილიტის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის
საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე**

1 მაისი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივის შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „მირაბილიტი მაინინგი“ მირაბილიტის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის თაობაზე.

განსახილველად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია გზშ ანგარიშში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (შემდგომში - დებულების) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია დებულების მოთხოვნები, მეორე სვეტში კი, დებულების მოთხოვნასთან შესაბამისობის მდგომარეობა, ჩვენი შენიშვნით/კომენტარით.

დებულების თანახმად, გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს	გზშ ანგარიშის შესაბამისობა დებულების მოთხოვნებთან
(ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს	<p>ნაწილობრივ აკმაყოფილებს:</p> <p>გზშ ანგარიშის მე-5 თავში ვხვდებით გარკვეული სახის უზუსტობებს. მაგალითად, 5.2.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ „პროექტის განხორციელების ადგილის უახლოესი დასახლებული პუნქტებია - სოფლები ირი და ბაჯისხევი) აღნიშნული სოფლები გაერთიანებულია ცხმორის და წედისის თემებში“. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სოფლები და თემები დასავლეთ საქართველოში მდებარეობს და შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიასთან არ აქვს კავშირი. აუცილებელია, ახსნილ იქნეს, თუ რატომ განიხილება ანგარიშში დასავლეთ საქართველოში მდებარე ტერიტორიები, მაშინ როდესაც საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოშია დაგეგმილი.</p> <p>ყურადსაღებია, რომ მსგავსი სახის, დაგეგმილი პროექტისათვის შეუსაბამო წინადადებებს არაერთგან ვხვდებით გზშ ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში.</p>
(ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას	<p>მეტწილად არ აკმაყოფილებს:</p> <p>მე-6 თავში მოცემული ინფორმაცია არ ასახავს სრულყოფილად აღნიშნულ თემას. არაერთი საკითხი მეტად ზედაპირულადაა განხილული და წარმოდგენილი.</p>

	<p>მაგალითად, საწარმოს საქმიანობის შედეგად, ხმაურის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ „მნიშვნელოვანი ხმაურის წყაროსა და მგრძობიარე რეცეპტორებს (საცხოვრებელი ზონა) შორის დროებითი ხმაურდამცავი ბარიერების (ეკრანების) განთავსება. აღნიშნული ეკრანების მოწყობა შესაძლებელია სხვადასხვა კონსტრუქციების გამოყენებით (მაგ. ხე-ტყის მასალის ჩამოგანილი ფიცრისაგან დამზადებული ფარები). ეკრანების ხმაურდამცავი თვისებები დამოკიდებულია მასალის სახეობაზე და ფიცრის სისქეზე. ასე მაგალითად: შემოღობვა ფიჭვის ფიცრებისაგან (სისქით 30 მმ) - 12 დბა; შემოღობვა მუხის ფიცრებისაგან (სისქით 45 მმ) – 27 დბა.“</p> <p>დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი წყაროები, რომლებსაც ეყრდნობა აღნიშნული დასკვნები. აგრეთვე, არ არის დასაბუთებული აღნიშნული მეთოდის ეფექტურობა, მათ შორის, ხმაურის შემცირების სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით. აუცილებელია განხილულ იქნეს სხვა ტექნოლოგიური ალტერნატივებიც. ასევე, მნიშვნელოვანია, თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში, განხილულ იქნეს გარემოზე ესთეტიკური ზეგავლენის ხასიათი.</p> <p>ანგარიშის მე-5 თავში მოცემულია საწარმოს განთავსების რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა. 5.1.4.5. ქვეთავში ნათქვამია, რომ „ობიექტის განთავსების ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან სეისმურ ზონაში“. თუმცა, შემდეგ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი რა გავლენას ახდენს სეისმურობა საპროექტო გადაწყვეტაზე.</p>
<p>(გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს</p>	<p>მეტწილად არ აკმაყოფილებს:</p> <p>ეს საკითხი ცალკე ქვეთავის სახითაც კი არ არის წარმოდგენილი. ინფორმაცია დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია გაფანტული და მეტად ზოგადაღწერილობითია.</p>
<p>(დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას</p>	<p>აკმაყოფილებს</p>
<p>ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას</p>	<p>აკმაყოფილებს</p> <p>ემისიებთან დაკავშირებული შენიშვნები იხილეთ ქვემოთ, ხმაურთან კი - ზემოთ.</p>
<p>ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების</p>	<p>ნაწილობრივ აკმაყოფილებს:</p> <p>არ არის სრულყოფილად შესწავლილი, რა უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს პროექტის განხორციელებამ საწარმოდან უშუალო სიახლოვეს დასახლებულ მოსახლეობაზე. ზემოქმედებებს შორის, ძირითადად, შეფასებულია საწარმოში დასაქმებულ პირებზე</p>

განსაზღვრას	<p>ზემოქმედება.</p> <p>შესაბამისად არც არის დადგენილი შესაფერისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები.</p>
<p>ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას</p>	<p><u>საერთოდ არ აკმაყოფილებს:</u></p> <p>საერთოდ გაუგებარია გზშ ანგარიშის 8.3 ქვეთავი - ნარჩენი ზემოქმედება. აქ საუბარია არა დაგეგმილ, არამედ შპს „ადო ჯორჯია მაინინგი“-ს ბარიტის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობასა და ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედებაზე. ანგარიშში ნათქვამია - „წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიხედვით შპს „ადო ჯორჯია მაინინგი“-ს ბარიტის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობასა და ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოზე მაღალი ან საშუალო დონის ნარჩენი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად დაბალი დონის ნარჩენი ზემოქმედება არ ექვემდებარება განხილვას“.</p>
<p>(თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას</p>	<p><u>არ აკმაყოფილებს</u></p>
<p>(ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას</p>	<p><u>მეტწილად არ აკმაყოფილებს:</u></p> <p>პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობებისა და ტექნოლოგიური ალტერნატივების საკითხს გზშ ანგარიშის მე-4 თავში ვხვდებით. ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსების ორი ალტერნატივა და აქვე ვხვდებით ანგარიშისთვის შეუსაბამო ინფორმაციას. კერძოდ, 4.2 ქვეთავში საწარმოს განთავსების ალტერნატივები, ერთ-ერთი ალტერნატივის აღწერისას („საწარმოს <u>ქ. საგარეჯოში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ტერიტორიაზე განთავსება</u>“), ნათქვამია შემდეგი: „საწარმოს <u>სოფ. ირის ტერიტორიაზე მოწყობის ალტერნატიული ვარიანტის უარყოფითი ასპექტებიდან მნიშვნელოვანია...</u>“ ყურადსაღებია, რომ სოფელი ირი მდებარეობს ონის და არა საგარეჯოს რაიონში.</p> <p>აღნიშნულ ქვეთავშივე, ტექნოლოგიური ალტერნატივების ნაცვლად მხოლოდ და მხოლოდ განხილულია (და ისიც ზედაპირულად) მირაბილიტის გადამუშავების ორი მეთოდი. არ არის ნათლად წარმოდგენილი, თუ რომელი ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვა მოხდა შერჩევის ეტაპზე და რატომ მიენიჭა უპირატესობა საბოლოო ვარიანტს.</p>
<p>(კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას</p>	<p><u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს:</u></p> <p>აღნიშნულ თემას ეთმობა მე-9 თავი და ის ზოგადადწერილობითია. იგი გაჯერებულია მეტად ზედაპირული წინადადებებით და არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს. მაგალითად, ნათქვამია, რომ „საპროექტო საწარმოს ან მისი ცალკეული უბნის გაუქმების შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული</p>

	<p>უნდა იყოს სპეციალური პროექტის დამუშავება...“. არ არის გაწერილი, რა ღონისძიებებს გაატარებს ამ შემთხვევაში კომპანია გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენისათვის.</p>
<p>(ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას</p>	<p><u>მეტწილად არ აკმაყოფილებს:</u></p> <p>ანგარიშის მე-11 თავი - „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა“ - ზოგადადწერილობითია. არ არის ნათელი, გასწია, თუ არა ინვესტორმა ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. დოკუმენტში უბრალოდ აღნიშნულია, რომ „საქმიანობის განმზოვრციელებელი ვალდებულება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის პაკეტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე, უზრუნველყოს საჯარო განხილვის ჩატარება“ და რომ ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში.</p>
<p>(მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას</p>	<p><u>არ აკმაყოფილებს:</u></p> <p>არ არის წარმოდგენილი ანგარიშიში.</p>
<p>(ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას</p>	<p><u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს:</u></p> <p>აღნიშნულ საკითხს ვხვდებით ანგარიშის მე-6 თავში. მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია გათვლები გასაფრქვევ ემისიებთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში, ანგარიშის ავტორი საუბრობს, რომ საწარმოს ემისიები არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს, თუმცა, არსად განმარტავს, კონკრეტულად რა ტექნოლოგიების გამოყენება იგეგმება ემისიების შესამცირებლად. ეს გზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა განვიხილოთ.</p> <p>დოკუმენტის 3.2.2.1.16. ქვეთავში „აირდამჭერი მოწყობილობის დახასიათება“ ნათქვამია, რომ „კვამლის აირების აზოტის ჟანგეულებისაგან გაწმენდის მიზნით შერჩეული იქნა კვამლის აირების არაკატალიზური მეთოდით გაწმენდის მეთოდი – კერძოდ აზოტის ჟანგეულების აღდგენის მიზნით საქვამის წვის კამერაში კარბამიდის ხსნარის და ორთქლის ნარევის შესხურება. მოცემული მეთოდი გამოიყენება რუსეთში და იაპონიაში, აგრეთვე სხვა ქვეყნებში. მოცემულ მეთოდს სხვა მეთოდებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ იაპონელი მეცნიერები. მოწყობილობის სიიაფის და სქემის სიმარტივის გამო. კარბამიდი არატოქსიკურია, არაფეთქებადია, არ აქვს სუნი და არ იწვევს მოწყობილობის მნიშვნელოვან კოროზიას“.</p> <p>ანგარიშიში არ არის დასაბუთებული, რატომ მიენიჭა უპირატესობა სწორედ ამ მეთოდს? რამდენად ეფექტურია ის, სხვა ტექნოლოგიებთან და მეთოდებთან შედარებით? სასურველია, განხილულ იქნეს ალტერნატივებიც; რა უპირატესობა ან ნაკლი აქვს თითოეულ მათგანს და ამის შემდეგ დადგინდეს, თუ რომელი მეთოდის, თუ ტექნოლოგიის გამოყენება იქნება უფრო ეფექტური და</p>

	საიმედო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.
(ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე)	<u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს:</u> ინფორმაცია ამ საკითხზე ზედაპირულია, გაზრდილია ანგარიში და არ იძლევა შეფასების შესაძლებლობას.
(პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები)	<u>საერთოდ არ აკმაყოფილებს:</u> არ არის წარმოდგენილი სრულყოფილად, რა ტექნოლოგიებს გამოიყენებს საწარმო და შესაბამისად, არ არის მოცემული მათი საპასპორტო მონაცემებიც.
(ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს	<u>არ აკმაყოფილებს</u>
(რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა	<u>აკმაყოფილებს</u>